**რედაქცია**

გალავანის პროსპექტზე. თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვეშ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან სიღაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა


**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ... წვრილით ასოზე ნახევარი კაპ., ... ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივად მოითხოვს, რედაქცია გაანგარიშებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულ, რუსულ და სხვ ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა


პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდინ

## დროება

ღირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ი. ილია ჭყონიასთან (სიღაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთა-თვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

---

არწრუნის თეატრში

აბონიმენტის რიცხვში

კვირას, 7 ივნისს

ქართული დრამატიული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქმნება:

**თამარ - ბატონიშვილი**

ხუთ მოქმედებიანი დრამა XIII საუკუნის ცხოვრებიდგან, ზრ. რჩეულოვის რომანიდგან გადმოკეთებული ქ. მესხისაგან.

ქ-ნი ბარბარე ავალოვისა ითამაშებს თამარ-ბატონიშვილის როლს.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.


## ტელეგრამმა

(„ხალხთა-რიგოშ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღის ბირჟა, 2 ივნისს.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 96— | $37^1/_2$ |
| მეორესი— — — — | 94— | 62 |
| მესამესი — — — — | 94— | $50^1/_2$ |
| მეოთხესი — — — | 94— | $75^1/_2$ |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 92— | $87^1/_2$ |
| აღმოსავლეთის მეორე | 92— | 87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92— | 87 |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი | 8— | 9 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 225— | 50 |
| მეორე სესხის — — — | 218— | |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 24—47 | პენსი |
| ბერლინი — — | 123— | „ პფენიგი |
| ჰამბურღი — — | 209—75 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 258—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — | — | |

---

## ჩვენი სამღვდელოების საქმეები.

ტფილისი, 5 ივნისს.

სამღვდელოების საქმეები ამ უკანასკნელ დროს ისე ცუდათ მიდის, რომ ადრინდელი დრო, ტოლსტოის დრო, სანატრელი და სასიამოვნოდ მოსაგონებელი შეიქმნა.

სამღვდელოებას ჩამოერთვა უფლება სასულიერო სასწავლებლისათვის ზედამხედველების ამორჩევისა, იმ სასწავლებლისათვის, რომელნიც ამ სამღვდელოების ხარჯით არსებობენ; ახლა ამბობენ, რომ სამღვდელოებას წაერთვა უფლება ბლაღოჩინების ამორჩევისა და ამას გარდა თვით სამღვდელოთა ყრილობაც მოსპობილი იქმნებაო.

ბოლგარიის კონსტიტუციის დამწერმა ახალმა ობერ-პროკურორმა ბ. პობედონოსცევმა ამ განკარგულებით დაიწყო თავის მოქმედება და რით გაათავებს—ის კი ჯერ არ ვიცით...

უკანასკნელმა თფილისის გუბერნ. სამღვდელოების ეპარქიალურმა კრებამ დაგვარწმუნა, რომ ეს კრებები თითქმის ახლაც მოსპობილად უნდა ჩაითვალოსო, წარმოიდგინეთ:

ბლაღოჩინებს მისვლიათ უბრალო მშრალი მიწერილობა, რომ თქვენი საბლაღოჩინოდამ დეპუტატი გამოგზავნეთ თფილისში, რადგან 26 მაისისათვის აქ ეპარქიალური ყრილობა არის დანიშნულიო. ამ მიწერილობაში ერთი სიტყვაც არ ყოფილა მოხსენებული იმაზე—თუ რისთვის, რა საგნისთვის იწვევდნენ დეპუტატებს? რა-და-რა საგანზე უნდა ჰქონოდა ყრილობას სჯა? სად, რომელ სადგომში უნდა მოგროვილიყვნენ და სხვა.

ბლაღოჩინების ბრძანებით დეპუტატი-მღვდლები წამოვიდნენ ქართლ-კახეთიდამ, ზაქათლის მაზრიდამ და სხვა შორი ადგილებიდამ და დანიშნულ დროს მოვიდნენ თფილისში. ჩვეულებრივად მიადგნენ სასულიერო სემინარიის კარებს; აქ ეგონათ კრება იქნებოდა; მაგრამ ახლოსაც არ მიუშვეს: ჩვენ არა ვიცით-რა, სემინარიაში ყრილობა არ შეიძლებაო. წავიდნენ სინოდალის კანტორაში, იკითხეს—იქაც იგივე პასუხი: ჩვენ არავითარი ბრძანება არა გვაქვს ამ საგნის შესახებ მიღებულიო. მივიდნენ სასულიერო სასწავლებელში და იქ, რის ვაი-ვაგლახით, იშოვნეს ერთი ოთახი, სადაც შეგროვდნენ პირველ დღეს.

შეგროვდნენ, მაგრამ კი არ იცოდნენ—რა უნდა გაეკეთებინათ, რაზედ უნდა მოელაპარაკნათ და ისე დაიშალნენ, რომ ვერ გაეგოთ—რისთვის მოიწვიეს ისინი ამ სიშორიდამ. ზოგიერთები ჩვენს რედაქციაში შემოდიოდნენ და ჩვენ შემოგვჩიოდნენ: ჩამოგვიყვანეს და გვირჩიეთ—რა გავაკეთოთო.

მეორე დღეს მათ მიეცათ უფლება სას. სემინარიაში ყრილობის მოხდენისა.

დაიწყეს სანთლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშებზე სჯა; მაგრამ რადგან სამღვდელოებამ ამ საქმის შესახებ არა იცოდა-რა, კამისიას მიანდო ანგარიშების განხილვა.

ამოირჩიეს ახალი უფროსი ქალი თავიანთ საქალებო ეპარქიალურ სასწავლებლისთვის; ამოირჩიეს ისეთი ქალი, რომელსაც არ იცნობდნენ და რომელმანაც ქართული თურმე ერთი სიტყვაც არ იცის.

შემდეგ მობრძანდა მაღალ-ყოვლად-სამღვდელო საქართველოს ეგზარხოსი, ბევრი ტკბილი სიტყვა უთხრა კრებას, სხვათა შორის თელავის სასულიერო სასწავლებლის ორი უფროსი კლასი დაკეტეთო და ბოლოს გამოუცხადა, რომ თითონ თქვენ დაადგინეთ—რა საგანზედ გსურთ მოლაპარაკება, შეადგინეთ სია, წარმომიდგინეთ და თუ შეიძლება, მე დავამტკიცებო.

— მკითხველმა იცის რა-და-რა საგანზე იყო ყრილობაში მოლაპარაკება და გადაწყვიტეს. მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ეგზარხმა არ ინება არც ერთის ამ გადაწყვეტილების დამტკიცება და ამ ნაირად კრება ისე დაიშალა, რომ თითქმის სრულებით არა გაურიგებიათ-რა. სულ ცყუილ-უბრალოთ მოცდენ მღვდელ-დეპუტატები, ცუდ-უბრალოდ ხარჯი მოუვიდათ და ხელ-ცარიელები დაბრუნდნენ ხალხში.

მიზეზი ამისა ის იყო, რომ დეპუტატებმა არ იცოდნენ რისთვის იწვევდნენ მას და რა საგნებზედ უნდა

---

«დროების» ფელეტონი, 6 ივნისს.

### გულ - გატეხილები.

ძმანო! მითხარით, რამ დაგაღონათ?
ნუ თუ დაჰკარგეთ სრულათ რწმუნება?
აღარ იჯერებთ, რომ კვლავაც კიდევ
მამაცნი, გმირი წამოგვეზრდება?

—

ნუ თუ არ გჯერათ, რომ ის მამული,
რომელი ცზრდიდა წარსულს გმირებსა,
კვლავაც შეიძლებს შვილების აღზრდას
და იმით მკლავთა გამაგრებასა?

—

. : . . . . .

ა. მოხსუბარიძე.

---

### მოგზაურობა კახეთში *)

ეს არის მიზეზები, რომ ეხლა ერთ დროს აღყვავებულ ქვეყანას ვხედავთ სამწუხარო მდგომარეობაში. რომ ჰერეთს ეწვია მე-XVII საუკუნეში ამ გვარი უბედურება, რასაკვირველია, ამის მიზეზი იყო დასუსტება და დაუძლურება ქართლ-კახეთის სამეფოსი და მთელი საქართველოსი. და ამ დაუძლურების მიზეზიც სხვათა შორის იყო: 1) ის, რომ სამი საუკუნით ამის წინ მთელი საქართველო გაიყო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ; 2) რომ მე-XVI საუკუნის გასულს და მე-XVII საუკუნის დამდეგს ერთის მხრით სწოწნის ოსმალოს სულთანი და სრულიად იმონავებს საათაბეგოს (1587 წელს), მეორე მხრით სპარსი; 3) თვით განაწილებული სამეფოები და სამთავროები ერთგულათ არ არიან და არა თუ ერთმანეთს შველიან, არამედ:

„ის (დადიანი) ყოველ წელიწადს 10 ათასიდგან 15-მდე ყმაწვილს ჰყიდის, ამის მოწმათ არის მთელი ქვეყანა და ართმევს ქრისტიანებს შვილებს და უგზავნის მათ თურქებს, სულთანს და ვეზირებს ყოველ წელიწადს 120-ს თითოს. დადიანმა გური მისცა არქიეპისკოპოზს, რომელიც ყოველ წელიწადს ჰყიდის 10 ათასიდგან 12-მდე და უგზავნის ოსმალებს ყოველ წელიწადს 80-მდე ყმაწვილს, აძლევს ოსმალებს ხარჯს; ზოგს ჰკლავს, ზოგს ართმობს და წირვასაც სწირავს. ისიც არა ქრისტიანულ სჯულზე (მეფე თეიმურაზის წერილებიდგან),

კახეთის მმართველი გიორგ (1475 წ.) უმეგობრდება სპარსეთის შაჰს შუნ-ასანს და უგზავნის მონებს და მხევლებს ყოველ წელიწადს.

ქველა ამ მიზეზების გარდა ჩვენ გვგონია, რომ საქართველოს დაცემა-დაუძლურებაზე დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენს მდიდარს, ლამაზს, მაგრამ მთებით დაყოფილს და განაწილებულს ქვეყნის ბუნებას. სვანი, რომელიც გამაგრდა თავის არწივის ბუდის მსგავს სამშობლოში, სადაც რვა-ცხრა თვეს მტერი ფეხს ვერ შემოადგამდა, ყურებს არ იბერტყავდა, როდესაც მის მეზობელ იმერლებს ოსმალები ტყავს აძრობდნენ; თუშ-ფშავ-ხევსურები აგრეთვე; ქართლში ხალხის ასაწიოკებლად რომ მტერი შემოვიდოდა, იმერლები ამბობდნენ: ჩვენ ქვეყანას ზურგათ აქვს ლიხის მთები, მტერი იქიდგან ვერ გადმოვა. დიე, როგორც უნდათ, პასუხი გასცენ თვითონვე

*) „დროება“, № 114.

ჰქონოდათ მსჯელობა. ეს რო სცოდნოდათ, იქვე ადგილობრივ მოილაპარაკებდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რა საგანზე როგორი აზრი და წინადადება შეეტანათ ყრილობაში, და მაშინ, უეჭველია, ასე უნაყოფოდ არ გათავდებოდა ეს ყრილობა.

ავილოთ მაგალითი: კრებამ სხვათა შორის ვარდაწყვიტა იშუამავლონ ეგზარხოსის წინაშე სას. სემინარიაში და სას. სასწავლებლებში ქართულ ენისა და საეკკლესიო გალობის სწავლებას უფრო მომეტებული ყურადღება ჰქონოდა მიქცეული, რომ ქართული ენისათვის სემენარიაში კათედრა დაწესებულიყო. ეგსარხოსმა ამ თხოვნაზე უპასუხა ყრილობას, რომ სემენარიას ფული არ აქვს და თუ თქვენ, ოლქის სამღვდელოება, მონახავთ საშუალებას, მაშინ შეიძლება თქვენი თხოვნის შესრულებაო. წინათვე რომ სცოდნოდათ, რომ ამ საგანზედ იქნებოდა ყრილობაში მოლაპარაკება, მაშინ ხომ ასე უბედურად არ გათავდებოდა ეს საქმე და სამღვდელოება გაწბილებული არ დარჩებოდა. მართალია იმათ შეეძლოთ ეფიქრნათ, რომ თუ საქართველოს ერთად-ერთს სას. სემინარიაში, რომლიდამაც ქართველ სოფლებისათვის გამოდიან სულიერი მამები, თუ ამ სემინარიაში არის იმდენი საშუალება, რომ ბერძნულსა და ლათინურს ენებს ასწავლიან, შეიძლება ქართულ ენასაც იმდენი პატივი სცენ, რომ იმისთვისაც მონახონ ღონის ძიება და რიგიანი ადგილი მიანიჭონ სემინარიის სხვა სასწავლებელთაგანთა შორის. მაგრამ ამ დროსვე შეიძლებოდა ისიც მოეფიქრნათ რომ ამ გვარს იმათ კანონიერ თხოვნას პატივი არ დაედებოდა და ამ შემთხვევისთვისათვის სხვა წყაროს, სხვა გზას მონახავდნენ თავიანთ ჩინებულ განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ.

ეს წყარო და გზა, როგორც გვაცნობეს, ახლა უკვე მოუნახავთ: ამბობენ. რამდენიამე მღვდელს აქვე ყრილობის დაშლამდინ გამოუცხადებიათ, რომ თავიანთ ეკკლესიებიდამ შამოსწირავენ ამ საგნისათვის იმდენ ფულს, ან ერთ-თავად, ან მუდამ წლობით, რომ კარგი მასწავლებლის შენახვა შეიძლებოდეს.

ამ გვარადვე შეიძლებოდა სხვა საგნების თაობაზედ მოქცეულიყვნენ, თუ რომ ადრევე სცოდნოდათ—რაზედ იქნებათ ყრილობას სჯა და მოლაპარაკება.

ახლა კი იტყვიან—„სამღვდელოთ ყრილობა ვერაფერს ვერ არიგებსო," ვამოსადეგი არ არის და სხვ.

მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე?

წინათვე განსახილველი საგნების გამოცხადების გარდა, საჭირო რასაკვირველია, რომ თითონ ყრილობასაც ჰქონდეს უფლება, რომ ზოგიერთ საჩქარო საქმეებზე აქვე, კრებაზედვე ჰქონდეთ უფლება ლაპარაკის აღძვრისა და განჩინების დადგენისა....

## ახალი ამბები.

—

დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ბათუმში ყოფნის თაობაზე ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი ამ ქალაქიდამ:

„ქალაქი სრულიად განათლებულია. მაშხალების სროლით და „ურას" ძახილით დახვდა საზოგადოება ნავსადგურზედ და სულ ზღვის ნაპირებზედ. იმ დღეს დიდი მთავარი შკუნიდან („ელბორუსი") აღარ გამობრძანებულა. მეორეს დღეს გამობრძანება მისის უმაღლესობისა შკუნიდან, საზოგადოების და ქალაქის ნახვა და გამოთხოვება დანიშნული იყო რვა საათზედ დილით; მაგრამ მოულოდნელის და ძლიერის ქარისაგამო დარჩა ათ საათამდე; ათ საათზედ ქარმაც იკლო და დ. მ. მიბრძანდა ბერძნების ეკკლესიაში. ამ დროს მოადგა ბათუმს იახტა „ლივადია"—დიდის მთავრით კონსტანტინე ნიკოლოზის-ძით და ნამესტნიკი დაუყოვნებლივ წაბძანდა ისევ შკუნაზე.

„ბათუმის გუბერნატორმა სმეკალოვმა განკარგულება მოახდინა, რომ საზოგადოება შეგროვილიყო ნავსადგურზედ, განეცხადებინათ თავიანთი სურვილი და გამოსთხოვებოდნენ. საზოგადოება შეიკრიბა. პირველი რიგი დაიჭირეს ბათუმის ბეგებმა და სხვა მუსულმანებმა, მეორე მალაკნებმა და შემდეგი ბერძნებმა და სხვათა. გამობრძანებისათანავე დიდმა მთავარმა მიმართა ბეგებს, რომელთა წარმომადგენელი იყო მაიორი ხუსეინ-ბეგი ბეჟან-ოღლი. „გამარჯვება" უბრძანა და შემდეგ მადლობისა ხუსეინ-ბეგმა შემდეგი სიტყვა მოახსენა ქართულად:

„თქვენო იმპერატორებით უმაღლესობავ? ჩვენ განუზომელის სიხარულით მოველოდით თქვენს მობრძანებას ბათუმში და ესრეთი ჩვენი სურვილი და სიხარული შესრულდა დღეს, მაგრამ ეგ სიხარული შეგვეცვალა მწუხარებად, როდესაც გავიგეთ, რომ თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობა სტოვებს კავკასიას და გვშორდებით. ვისურვებთ თქვენს მრავალ ჟამიერ სიცოცხლეს..."

დიდმა მთავარმა მადლობა უბრძანა შემდეგის სიტყვებით:

„მადლობელი ვარ. იმედი მაქვს, თქვენ, როგორც ჭკვიანნი და გამოცდილნი კაცნი, მაგალითს უჩვენებთ თქვენს სხვა თანამოძმეთა მისის იმპერატორებით დიდებულების ერთგულად სამსახურისას."

ამ გვარივე სიტყვები და გამოთხოვება განგრძელდა დანარჩენებთანაც; შემდეგ მიმართა მომზადებულს „ნოვიგოროდში" წასასვლელად ვაგონს. აქ დახვდნენ ქალები თ. გურიელის, თ. ერისთავის და ქალაქ-მთავრის ბერსის მეუღლეები, რომელთაც ხელი ჩამოართვა და თითოოროლა სიტყვა უთხრა.

„მეოთხე საათზე დიდი მთავარი კონსტანტინე გამობრძანდა „ლივადიიდან", დაათვალიერა ქარხნები, სადაც ფილუკებს და სანდლებს აკეთებენ, ბატარეიაზედ შამოიარა და ჩაბრძანდა „ლივადიაში", ექვს საათზედ დიდი მთავარი ნამესტნიკი გამოეთხოვა თავის ჩინოვნიკებს, „ლივადიაში" ჩაბრძანდა და გაემგზავრნენ."

*
* *

ხვალ, კვირას, ალექსანდროვის ბაღში იმპერატორის ალექსანდრე მეორეს სახელობის საყმაწვილო პრიუტის სასარგებლოდ გამართული იქნება სეირნობა. დაუკრავს რამდენიმე ხორო მუზიკა, ცოცხალ სურათებს წარმოადგენენ და სხვ. გამგებელი ამ სეირნობისა არის ბ-ნი კასუმოვი. ბაღში შესასვლელი ფასი—30 კაპ. სცენის პირ-და-პირ ნომრიანი ადგილები იქნება, კრესლოს ფასი—1 მან. 50 კაპ., სკამებისა—1 მან.

*
* *

თითქმის ყველა მხრიდამ კარგ მოსავლის პირს გვწერენ. წვიმებმა შეგვაწუხა ცოტა არ იყოს ამ უკანასკნელ ხანებშიო, მაგრამ ნამუშევრისათვის ამ წვიმებს ვნება არ მოუტანია-რაო.

ამის იმედით, უეჭველია, სიიაფეს უნდა მოველოდეთ თფილისში და დანარჩენ საქართველოს ნაწილებშიაც.

*
* *

განჯიდამ იწერებიან, რომ, რადგან წელს მოსავალს კარგი პირი აქვს, ამის გამო ჩვენკენ ახლავე სიიაფე ჩამოვარდაო. ფუთი ფქვილი, რომელიც ადრე 3-4 და ხან 5 მანეთად ისყიდებოდა ახლა, ექვს აბაზათ გახდაო, ქერი ათ შაურად და სხვ.

*
* *

გორიდამ გაზ. „კავკაზის კურიერში" იწერებიან, რომ ძლივს, როგორც იყო, ამას წინათ გაათავეს ქალაქის რჩევის პირველი ხარისხის ხმოსანთა ამორჩევა, მაგრამ აქაც ხრიკი მოსდეს, საჩივარი შემოვიდა და ამის გამო ახალი რჩევა ჯერ კიდევ ვერ შესდგომია თავის მოვალეობის შესრულებასაო. ძველი რჩევის ხმოსნები არ დაიარებიან, ახლები ჯერ არ დამტკიცებულან და ამ ნაირად ქალაქი უპატრონოთ არისო.

## „დროების" კორრესპონდენცია

—

**ოზურგეთი,** 3 ივნისს მე წავიკითხე „დროების" მე-103 ნომერში შენიშნვა ბათუმის რკინის გზის მიწის

---

თავის მტრებს. ამ გვარადვე ჰფიქრობდნენ ცივ-გომბორის მთებით ზურგ გამაგრებული ჰერეთელები. ამ გვარადვე ჰფიქრობდნენ ქართლელები, როცა იმერლებს ეწვეოდათ უბედურება.

თუ კი ამისთანა მთები არ ყოფილიყვნენ, ძნელად დაემალებოდნენ საზოგადო ჭირს და ხელი-ხელს მისცემდნენ, ერთგულად მტერს გაუმაგრდებოდნენ. მაშასადამე, ჩემის აზრით, ერთი მიზეზთაგანი ჩვენი გაუნათლებელი ხალხის დამხობისა არის ჩვენი მთები—ჩვენი მტრები *)

მაგრამ, სასიხარულოდ ჩვენდა, ამ მთებს ელებათ ბოლო. ფოთი თფილისის რკინის გზამ შეამტვრია ეს ჩინეთის კედლები და ორი ხალხი, საუკუნოებით განყოფილი და განაწილებული, ერთმანერთს დაუახლოვა, გააცნო, ხშირის მისვლა-მოსვლით ერთმანეთში.

ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ჩვენი ხალხი დარწმუნდა, რომ ცალ-ცალკე ქაპან წყვეტა, მოქმედება არც ერთს ხეირს არ დააყრის. და ეს რწმენა თან-და-თან უფრო ღვივდება, მტკიცდება. ჩვენი ხალხი ელტვის სწავლას, როგორც ძუნწი თითო გროშს და იმედია, რომ, თუმც ათასი დამაბრკოლებელი მიზეზი წინ უდევს, მაინც თავისას გაიტანს, განათლდება და თავის საუკუნო დევიზათ გამოხატავს: „ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის."

III

სამთერიოს წვერზე ტყეები შეთხელებულია. მხოლოდ აქა-იქ იზრდება კარგა მსხვილი და დიდრონი ხეები. პატარა ქვეითკენ რომ ჩავედით, ხეტყე გახშირდა. სხვათა შორის აქ იზრდება წიფელი, რცხილა და ძალიან იშვიათად მუხა და აგრეთვე სხვა ხეებიც, მაგრამ უფრო მეტად რცხილა. ხეები ძალიან მაღლა ასულან; ხანდის-ხან შეგვხვდებოდა ხოლმე მოსხლეტილი ხეები, რომელთაც ტოტები მხოლოდ ძალიან მაღლა წვეროებზე აბიათ. ყველა ხეები ტოლები არიან და, თითქო, პირობა ჰქონიათ შეკრული, რომ ახალ-გაზდა ხეები ძირიანად ამოეგდოთ და დაეჩაგრათ.

ხანდის-ხან, ტყეებ შუა გვხდებოდა ცარიელი მინდორიანი ადგილები, რომელნიც აბორცებულ იყვნენ. აქ ჭიანჭველები სცხოვრობენო, მითხრეს. მართლაც, ამოვჩიჩეთ ჯოხებით და ვნახეთ, რომ იმ ბორცვებ ქვეშ სცხოვრობდნენ ჭიანჭველების ლეგიონები. ჭიანჭველების მჭამელი არის ჯოჯო, ამისთვის ამათი რიცხვი მრავალია. ამისთანა მშვენიერ მინდვრებს, სადაც შეიძლებოდი უნაკლულოთ ცხოვრობა ადამიანისათვის, დაჰპატრონებიან ჭიანჭველები და ჯოჯოები!

დალმართზე გვხვდებათ მრავალი წყაროები (თეთრი წყლები), რომელნიც მოხუვიან, სისწრაფით ჩარბიან ძირს და მთა-ბარს ბანს აძლევენ. ყველა ეს წყლები ერევიან ტალახიანს მდ. თურდოს, რომელიც ჩამორბის ც-ვის მთიდგან. ეს წყალი ჩამოუდის ფსიტის ციხის მარცხენა მხრით; ციხე აშენებულია ერთს მაღალს, ამწვეტებულს მთის ფერდობზე და აქედგან არწივივით გადმოჰყურებს მთელს ამ ხეობას და სრულიად ჰკეტავს ამ ღელეს—შიგნით-კახეთში შესასვლელ

---

*) ორიგინალური აზრია ეს აზრი და მხოლოთ იმიტომ ვაძლევთ ადგილს გაზეთში. რედ.

პადრიაჩიკებზედ, რო ისინი მუშებს თავის სამიკიტნოებში ახარჯებენ სადილ ვახშამს და ანგარიშის გასწორების დროს მუშებს თავის ნამუშევარისაგან აღარაფერს აძლევენ, უქვითებენ ხარჯში და თუ რამე ერგებათ, ისეც უსიამოვნოდ უნდა მისცენო.

ყველა ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ კორესპონდენტს ნახევარიც არა დაუწერია. ამის გამო მეც მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ამ საგანზედ.

აღტაცებით მოელოდა ოზურგეთის მაზრა ბათუმის რკინის გზის მუშაობის დაწყებას, ყველანი ფიქრობდენ, სხვა სარგებლობის მოტანის გარდა ამ ქესატობის დროს, ფულების შეძენას, ზოგნი ხე-ტყით, ზოგნი მიწით და ზოგნი მუშაობით.

გავხდით ბედნიერნი, გაგვიჩნდენ ინჟინერები.

მუშაობა დაიწყეს პოდრიადჩიკებმა დ. ჩხიკვაძემ და რ. ბახტაძემ. იმერეთიდგან, სამეგრელოიდგან და გურიიდგან ყოველ დღე მუშაობდა ოცი კაციდგან სამოცამდის. პატარა პოდრიადჩიკები გარს ეხვეოდნენ; ზოგნი მათგანი სთხოვდა თითო ოროლა ვერსი მიწა სამუშაოთ მიეცა, ზოგნი მუშას მოგიყვანთო, ზოგნი დესიატნიკობას და სხვ.

წარმოიდგინეთ ხანელი ჩ—ძე და ბ—ძე, ნალბანდობაში და მიკიტნობაში გაჩვეულნი, ამოდენა საქმის პოდრაჩიკებათ გახდნენ და მათგან პატრა პოდრიაჩიკებს და მუშებს რა სიკეთე დაეყრებოდა!

დაიწყებდენ ვაჭრობას, ერთი მომატებას სთხოვდა, მეორე მოკლებას, გაურიგებლად გაიყრებოდენ, და, ეტყოდა: პარასკევს მოდიო. პარასკევს რომ ვერ მორიგდებოდენ, კვირას მოდიო... კვირასაც და პარასკევსაც ბევრი იარეს მაგრამ ნუ გაგიწყრესთ ღმერთი, ვერც ერთმა ვერაფერი გაარიგეს. ეხლა ვისაც ნახავ ამათგანს, ყველა შემოგჩივლებს:“ იმდენი გვატყუა, “იმდენი ვიარეთ, რო ზოგს ჩვენგას ხუთ ხუთ თუმანამდის დაგვეხარჯა, გაგვიწყრა ღმერთი მათს სიტყვას ვრწმუნდებოდით, ნეტავი არ გვცოდნოდა რა კაცები იყვნენო!„

ან კი რა საჭირო იყო, თქვენი ჭირიმე, ეს წვრიმალი პოდრიაჩიკები? განა უამათოთ არ დაეხვივნენ მუშები თუ? საინტერესო იყო მუშებთან მისვლა, ყურადღების მიქცევა და გარემოების გაგება. მეც შემხვდა ერთხელ იქ გავლა, მივედი და ვნახე, რომ იმდენი იყო მუშები, რომ 20—30 კაცი უბრალოთ გაჩერებულნი შეჩერებოდენ დანარჩენებს. ვკითხე მიზეზი მათი გაჩერებისა და მითხრეს, რომ ბ-ნ პოდრიაჩიკებს საკმაო სამუშაო იარაღები არა აქვთ და ესენი ვაკანციას უცდიანო! და ავათ-მყოფობით ანუ სხვა გაჭირებით თუ ვინმე დაეთხოვოდა, მათ მაგიერ ჩასდგებოდენ...

ისიც ვკითხე — თუ თითოეული მუშა ქირას რას იღებდა ანუ რამდენი უნდა გაეკეთებინა. ქირას ვიღებთ თითო კაცი ჩვენის ხარჯით 70 კაპეიკს, უნდა გავაკეთოთ ნახევარი „კუბისკი“ (კუბიჩესკი) საჟენი მოთხრით და თავის ადგილზედ დაყრით; თუ ვერ გავაკეთებთ, გვსჯიან მით, რომ აღარ გვამუშავებენ და ჩვენ მაგიერ ჩასდგებიან აი ეს გაჩერებული კაცები და ჩვენი ნამუშევარი ქირა დიდის ყვედრებით იქნება ორ-სამ დღეში ავიღოთ. ამ მდგომარეობაში მყოფ მუშებმა ესეც მითხრეს რომ ბ-ნი დ. ჩხიკვაძე მისი ენა-გესლიანობისათვის კიდევაც შეიბერტყაო. ჩვენ დღეს ფულის გაჭირვებისთვის ვმუშაობთ, თორემ დღეში რომ მანეთი მოგვცეს ჩ—ძემ მაინც უსიამოვნო იქნება ჩვენთვისო.

მეც ვფიქრობდი, ბ-ნი პოდრიადჩიკებიდგან იქნება რამე ვისარგებლო მეთქი, მაგრამ მუშების ნაამბობმა პირს-ჯვარი დამაწერინა, ვთქვი: ღმერთო, შენ მიხსენ მათს ხელში ჩავარდნას-მეთქი, და გამოვეშურე შინისკენ.

ბევრი ამბობენ და მეც თამამად ვიტყვი: ვინც ფიქრობდა ამ მხრით სარგებლის მოტანას, შესცდა. ვინც მათგანს ვინმეს ხელში ჩაუვარდება, უზარალოთ ვერავინ გადარჩება..

გურული.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემს განხადებას ადგილი უბოძოთ თქვენს პატივცემულ “დროებაში„ იმ საზარელი სკანდალისა ქუთაისის ქალაქის ბაღში, რომელიც მოხდა 27-ს ამა თვისას და რომელიც აღწერილია „დროების“ 120 ნომერში.

ამ სკანდალის დაწვრილებით აღწერის შესახებ მე არა მაქვსრა სათქმელი, რადგანაც, გოგორც შემდეგში დავრწმუნდი, ბ. კორრესპონდენტი სრულ სიმართლეს იწერება. მე მხოლოთ ეს მაკვირვებს, რომ ბ. კორესპონდენტი, თუ ნამდვილ დაესწრო და მიაქცია ყურადღება მომქმედ პირებს რათ შესცდა, რომ ამბობს ვითომ მე ვიყავი იქ და ვითომ ბესარიონ გაბაშვილს ეთხოვოს ჩემთვის წესიერების დაცვა.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დავესწარი სკანდალს იმდროს, როცა ლორთქიფანიძე უკვე დაჭრილი იყო და გამარჯვებულნი მოსიძე და ავალიანები პავილიონის ფანჯრების მინებს ამტვრევდენ და თან მიიქცეოდენ. იმდენად იყვნენ გაბრაზებული, რომ დატრიალებდნენ ხანჯალ-ამოღებულნი, თითქო ეძებდენ ვის დაამგერონ ხანჯალი და მე თუ არ წამოვეცვი დაურიდებლად მათ ხანჯალს, ბ. კორრესპონდენტს ვსთხოვ მომიტეოს და შემდეგში მივიღებ ყურადღებაში მის რჩევას.

დასამტკიცებლათ იმისა, რომ მე პირველს ჩხუბს არც დავსწრებივარ და არც გავპარულვარ, ვნიშნამ მოწმათ თვით კორრესპონდენტისგან გამშველეთ დასახელებულს თ. ჩიკვაიძეს, რომელიც შემდეგ ჩხუბის გათავებისა, ჩამიხტა ფაეტონში და ჩემთან წამოვიდა პოლიციაში, რომ დესეტნიკები წამომეყვანა მაჩხუბრების დასაჭერათ, რადგანც იქ იმდროთ დავრჩი მარტო მე.

ამასთან დავძენ, რომ ბ. კორესპონდენტს უთუოდ ფრანტულად ჩაცმა ჰგონია, თუ კაცს შავი მაუდის ფორმის სერტუკი აცვია და ქონში გაუსვრელი.

ქუთაისის პოლიციის პრისტავი
ნესტორ გუგუშვილი.

# უცხოეთი

საფრანგეთი. გამბეტას გაზეთი „Repub ique Française“ ემუქრება სენატს, რომ თუ არ მიიღებს ის სიით ამორჩევების ახალ კანონს, შეიძლება სენატი სრულიად გაუქმდესო.

— დეპუტატთა პალატას ჰქონდა სჯა ბაროდეს წინადადებისა, რომელიც თხოულობდა საფრანგეთის კონსტიტუციის ხელ-ახლად განხილვას. რადიკალი კლემანსო თხოულობს გადახედონ კონსტიტუციას, რომელიც იყო შემდგარი მონარხიული კრებისაგან; ახსენებს, რომ უწინ გამბეტტა წინააღმდეგი იყო სენატის დაწესებისაო. იუსტიციის მინისტრი კაზო ამბობს: „დიდი გამბედაობა იქმნებოდა იმ კონსტიტუციის შეხება, რომელმაც მოგვცა ჩვენ რესპუბლიკა. შრომის მოყვარე ხალხი დაიღალა ამდენი უნაყოფო აღელვებით; მას უნდა ამ ჟამად შინაგანი და გარეგანი მშვიდობიანობა.“ მინისტრი წინააღმდეგია კონსტიტუციის გადახედვისა. დაბოლოებით ფერრიმ სთქვა, რომ კონსტიტუციის გადახედვისათვის ხმის მიცემა პალატის უმეტესობას დაშლის და მაშინ კაბინეტს არ შეუძლია არსებობა. ფერრის სიტყვის შემდეგ პალატამ უარ ჰყო ბაროდეს წინადადება.

— „ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტო“ გვაცნობებს პარიჟიდამ, რომ ვადდინგტონმა წარუდგინა სენატს კომისიის მოხსენება იმის შესახებ, რა კამისიამ არ მიიღო პალატისაგან დამტკიცებული პროექტი, რომ-

კარებს. რა დრონდელია ეს ციხე? ვისი აშენებულია? რა დროს გაუქმდა? —არავინ იცის.

რვა ვერსის სიშორეზე ამ ციხიდგან მდებარეობს მონასტერი შუა-მთა. აქ არის ორი მონასტერი: ძველი და ახალი. ახალი ააშენა ლეონ მეფის მეუღლემ თინათინმა (მე-XVI საუკუნეში).

ვინ ააშენა ძველი მონასტერი—არ ვიცით. ეხლა აი რა მდგომარეობაშია აქაურობა: ეკკლესია ძალიან დაძველებულია და დახეთქილა; დიდხანს ვეღარ გასძლებს; შიგ ზოგან ეხლაც მოჩანს ნახატები კედლებზე. დასავლეთის კედელზე მოშენებულია ერთი კოშკის მსგავსი შენობა. გარედგან შესასვლელი კარები და ან ფანჯარა არა აქვს. მხოლოდ ეკკლესიიდგან პატარა ხვრელით კაცს შეუძლიან ავიდეს მის ჩარდახზე; აქედგან კიბით უნდა ჩავიდეს ძირს იატაკზე, რომელიც თლილის ქვით არის წმინდათ დაგებული. ეტყობა, რომ ამაში შემოსასვლელი დიდი ხანი ყოფილა დაკეტილი და მივიწყებული, რომ მისთვის მიუგნიათ ბოლო დროს. ეზოში ყოფილა მარანი. ქვევრები ნახევრამდის წყლით არის სავსე. ამ მონასტრის გავერანების შემდეგ იმდენი ხანი გასულა, რომ შიგ ეზოში და ნანგრევებში გაზრდილან მრავალი ხეები.

ძველ შუა-მთის მონასტერს და ახალს შუა ვერს-ნახევარი იქნება. კაცს აკვირვებს მდებარეობა და სილამაზე ამ ახალის მონასტრისა. წარმოიდგინეთ კარგა ამაღლებული ბორცვი, რომელსაც ორის მხრით ჩაუდის ნაკადულები; ბორცვი წვეროზე სწორდება და ამ წვერზე არის მოშენებული ეს მონასტერი თავის მაგარის და მაღალის გალავანით და თორმეტ საჟენის სიმაღლე ეკკლესიით, სამრეკლოით და სხვა სახლებით. გალავანი ოთხ-კუთხეა. ეზო წმინდა და მშვენიერი. აქვე არის სასაფლაო ყარალაშვილებისა, რომელთაც მონასტრისათვის დიდი მიწები უჩუქებიათ.

თვით ეკკლესია აშენებულია მშვენიერს გეგმაზე (პლანზე) ჯვარის მსგავსად. ჩრდილოეთის მხრით მიდგმული აქვს ეკვდერი სამწირველოდ. შიგ ეკკლესიის კედლები დახატულია და თვალ-საჩინოდ მათზე გამოიხატება ახალი და ძველი აღთქმის ისტორია სურათებით, თუმცა ზოგი ამ სურათებთაგანი მტრებს ტყვიით და სხვა იარაღით დაუმახინჯებიათ (ზოგი წმინდანის თვალია გამოთხრილი, ზოგის ცხვირია ვნებული და სხ.) და ზოგიც ბოლო დროს გაულესიათ თეთრად. ეკკლესიაში პირის-პირ ერთმანეთისა არიან დახატულები დავითი და სოლომონი. შესასვლელ კარების მარჯვენით არიან დახატულები აგრეთვე ისინი, ვინც ააგეს ეს ტაძარი—თინათინ და ლეონი.

განძეულთა შორის შესანიშნავია ხახულის ღვთის-მშობლის ხატი, რომელზედაც სხვათა შორის სწერია:

„...მამკობსა ჩემსა მეფესა ლეონს და თანა მეცხედრესა პატრონსა დედოფალს თინათინს ნუ დასჯი, რაჟამს განიკითხვიდე კაცთა: შევამკევით ხატი ესე ხახულისა ღვთის-მშობლისა მეოხებისა ჩვენისა წარსამართებლად, სულისა ჩვენისა სახსრად და ძეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ. ამინ, ამინ, ამინ.“

თინათინი დამარხულია ამავე ეკკლესიაში, სამკვეთლოს კარის წინ.

(გაგრძელება)

ლის ძალითაც ამორჩევები უნდა მოხდეს საერთო სიებით. ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ არავითარი განხეთქილება ან შეტაკება არ მოხდება პალატასთანო; ვინიცობაა; შეტაკება მოხდა, პასუხის-გებაში სენატი სრულებით არ იქნებაო. სხვათა შორის ამ მოხსენებაში ყურადღება არის მიქცეული იმაზედ, რომ შეიძლება სიებით ამორჩევამ იქამდისინ მიგვიყვანოს, რომ გამოჩნდეს ვინმე პრეტენდენტი და საფრანგეთის მეფობა განიზრახოს

# განცხადებანი

ყმაწვილს კაცს ჴსურს აიღოს ფრანცუზულისა და ლათინურის ენის გაკვეთილები. თანახმაა ქალაქს გარეთაც წავიდეს. მსურველს შეუძლიან იკითხოს სოლოლაკზე, სუმბათოვის სახლებში. კონდახჩევის თამბაქოს მაღაზიაში. (3—1)

---

**მოსახურავი** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბოამაზეი 1 მ.—1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის. (15—3)

---

**ისყიდება ინგლისის მაღაზიაში**

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, კლეონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგირები, პორტვეინი, ხერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი პარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: მერბეთი, მაგნეზია და, წყურვილისაგან ლეპიოშკები, ციებისაგან ქინაქინას ღვინო, კრბოლის პარაშოკია საპონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი და სხვ. (15—5)

---

**მოსახურავი** 4 მან., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ:, ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—3)

**ინგლისის მაღაზიაში**

---




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,




# გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის **ფარმაკიის** მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე **№ 35.** დიდი კრობკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. დირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კრობკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმაროთ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—7) გ. კარპინსკი.

---

# ქუთაისში

ივანე ნიკოლაძის და შვილთა მოდის მაღაზიაში მიღებულია სამზღვარ გარეთიდამ მრავალ გვარი საქონელი. თუმც ბაჟმა მოიმატა მაგრამ ყველაფერი წინანდელ ფასებით იყიდება. მაღაზიაში არის და კიდევ მოელიან დიდ-ძალ შუშეულს და ჭურჭლეულს. ფასები 25% ნაკლებ ვიდრე სხვა მაღაზიებში.

(10—4)

---

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის: წონა—უქაღალდოდ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—3)

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ქართველ თავად-აზნაურთა გუჯრები (გრამოტები).

შედგენილი დ. ზ. ფურცელაძისაგან.

ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში, თითო წიგნი 50 კაპ., ქუთაისში ზერარდის წიგნის მაღაზიაში —70 კაპ. (5—5)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერ ბი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო პარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეების, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—69

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, საკრისისა (გემრიელი კლემჩვინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხამების ... განფეტების და ... სხვ. ... რაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაჭანას იგარები. (100—82)

---

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფიადნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—82)

---

გამოვიდა „**დრო არის საქმეს შეუდგეთ**“ თხზულება ქრისტეფორე მამაცაშვილისა და „**ვაი მართალთა!**“ თხზულება ანტონ ფურცელაძისა, რომელნიც ისყიდებიან: თბილისს, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში; ბორს მარიამ ძერესელიძის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისს ზერარდის წიგნის მაღაზიაში და თელავს ხორკლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი პირველისა აბაზი, მეორესი ექვსი შაური. (5—4)

---

## თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულისა და „მმართებლობის კანონთა და განკარგულებათა კრებისა“ № 32-ში დაბეჭდილის თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის წესდების საფუძვლით, ამ ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს:

1) მოსპობილია სესხის გაცემა და გირავოს ფურცლების გამოცემა იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 28 მაისის 1874 წლის ბანკის წესდებაში; მაგრამ უკვე გამოცემულ გირაოს ფურცლების შესახებ დაცული იქნება ის წესები, რომელნიც ზემოხსენებულს ბანკის წესდებაშია

2) ახალის, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის წესდების ძალით, ბანკს უფლება აქვს მინიჭებული შემდეგ გუბერნიების უძრავ ქონების გირავნობით გასცეს სესხი: თფილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, განჯის (ელისავეტპოლის) და სოხუმის სამხედრო მაზრისა.

სესხი გაიცემა გირაოს ფურცლებით, რომლის თავდები და პასუხის-მგებელი იქნება ბანკში დაგირავებული ყველა უძრავი მამული.

4) სესხი გაიცემა: ა) ადგილ-მამულის გირავნობით $54^1/_2$ და $43^1/_2$ წლით და ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობით—$27^1/_2$ წლით და აგრეთვე 18 წლით და 7 თვით.

ხანგრძლივ სესხისათვის სესხის აღლები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს ბანკში სამი პროცენტი აღებულის სესხისა და ამას გარდა $^2/_3$% სათადარიგო და უჩვეულებრივო თანხის შესადგენად და ბანკის გამგეობის ხარჯისათვის.

ბანკის ვალის გადასახდელად სესხის აღლები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს: $54^1/_2$ წლით აღებულს ვალში—$^1/_8$% პროცენტი აღებულის სესხისა, $43^1/_2$ წლით აღებულს ვალში—$^1/_4$%, $27^1/_2$ წლის ვალში—$^3/_4$% და 18 წლით და 7 თვით აღებულს ვალში—$1^1/_2$%.

5) ვისაც ჰსურს ბანკიდამ სესხი აიღოს, ვალდებულია წარმოადგინოს ბანკის გამგეობაში: ა) ჯეროვან სასამართლოის უფროს ნოტარიუსის მოწმობა, რომ მამული სესხის აღლებს ეკუთვნის, ბ) ადგილის პლანი, თუ აქვს, გ) დაწვრილებით შედგენილი აღწერილობა მამულისა და დ) თხოვნა, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის ბანკის წესდების თანახმად, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს-თუ რამდენი ჰსურს აიღოს სესხად და რა ვადით. ქალაქის უძრავ მამულების დაგირავების დროს ამ დოკუმენტებს გარდა წარმოდგენილი უნდა იქნეს კიდევ სტრახის პოლისი, ე. ი. მოწმობა, რომ ის მამული ცეცხლის საზღვეველ საზოგადოებაში არის შეტანილი. სესხის აღების თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი დასაფასებელი ხარჯი: ქალაქის მამულებისათვის—1% და სოფლის მამულებისათვის $^3/_4$% პროცენტი იმ სესხისა, რომლის აღებასაც თხოულობს. (10—9)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Іюня 1881 г. ТипографіяС. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი